შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№16 (9.876)

11 – 18 მაისი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პრემიერი დავით გარეჯის საკითხზე კომისია დამტკიცდება და აზერბაიჯანულ მხარესთან დიალოგი დაიწყება

გვ. 2

ლიტერატურული სპექტაკლი მირზაანში

გვ. 4

„ჩაიფერფლები და დაბერდები, თუ გულში ბრძოლის ცეცხლი არ არის“...

გვ. 3

C M Y K

პრემიერი — დავით გარეჯის საკითხზე კომისია დამტკიცდება და აზერბაიჯანულ მხარესთან დიალოგი დაიწყება

დავით გარეჯის საკითხზე დამტკიცდება კომისია. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იქნება მისი ხელმძღვანელი და დაიწყება დიალოგი აზერბაიჯანულ მხარესთან, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

მისი თქმით, მანამდე სამონასტრო კომპლექსზე წვდომა ისე, როგორც აქამდე, იქნება შესაძლებელი.

„დავით გარეჯის საკითხი ძალიან მგრძნობიარე თემაა ჩემთვის, ნებისმიერი ქართველისთვის და ჩვენ გვაქვს ინტენსიური კომუნიკაცია ჩვენს აზერბაიჯანელ კოლეგებთან. მიღწეულია შეთანხმება, იქმნება კომისია. დღეს დამტკიცდება ის და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იქნება მისი ხელმძღვანელი. დაიწყება დიალოგი აზერბაიჯანულ მხარესთან, იქაც გაკეთდება მსგავსი კომისია და ამ პერიოდის განმალობაში ჩვეულებრივად იქნება წვდომა სამონასტრო კომპლექსზე. აზერბაიჯანი ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, ჩვენ ვართ სტრატეგიული პარტნიორები და აქ ნებისმიერი გადაწყვეტილება სწორედ ამ სულისკვეთებით იქნება მიღებული",- განაცხადა ბახტაძემ.

ნათია თურნავა - პრინციპული არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოეწყობა ლოგისტიკური ჰაბი, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის მთავარი სიკეთე რჩება საქართველოს

„პრინციპული არის, რომ სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე მოეწყობა ლოგისტიკური ჰაბი, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მთავარი სიკეთე ამ პროექტის რჩება საქართველოს. ეს მოცემულობა ვერ შეიცვლება, ჩვენს გარეშე ამის უფლება არც ერთ სხვა მხარეს არ გააჩნია, - ასე უპასუხა ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტში რუსული მხარის ჩართვასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე კითხვას ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ.

მისი თქმით, ამ თემაზე ქართულ მხარეს მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიუღია და ეს პოზიცია ყველა მხარისთვის ცნობილია.

„რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტს, ეს არის ჩვენთვის მართლაც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტი. ჩვენს სუვერენულ ინტერესებს შეესაბამება ეს პროექტი სწორედ იმ ფორმით, რა ფორმითაც ის არის შეთანხმებული სამ სხვადასხვა სახელმწიფოს შორის. კერძოდ, აქ პრინციპული არის, რომ სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე მოეწყობა შემკრები სადგური ან ლოგისტიკური ჰაბი, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მთავარი სიკეთე ამ პროექტის რჩება საქართველოს. ეს მოცემულობა ვერ შეიცვლება, ჩვენს გარეშე ამის უფლება არც ერთ სხვა მხარეს არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ამასთან დაკავშირებულ და პროექტის კონფიგურაციასთან დაკავშრებულ რაიმე შეხვედრაში ჩვენ ვერც მივიღებდით მონაწილეობას და ყველა მხარისთვის ცნობილია ჩვენი პოზიცია",- განაცხადა თურნავამ.

რაც შეეხება კონკრეტულ მოლაპარაკებებს, მინისტრის თქმით, ეს მისი ვარაუდით ტვირთბრუნვას ეხება.

„ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს არის დაკავშირებული უფრო ტვირთბრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებთან და ჩვენ, პრინციპში მივესალმებით, რომ ჩვენი დერეფნით გაიაროს ნებისმიერი წარმომავლობის ტვირთმა, იქნება ეს რუსული, ყაზახური თუ ჩინური. მნიშვნელოვანია, რომ რომელი ქვეყნიდანაც არ უნდა წამოვიდეს ეს ტვირთი, აქ გადაიხდის გადასახადებს. მხოლოდ ამაზე შეიძლება იყოს მოლაპარაკება",- აღნიშნა მინისტრმა.

ინფრასტრუქტურული პროექტები განახლდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიური ტემპით მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსთან, ნოდარ პაპუაშვილთან ერთად ქ. დედოფლისწყაროში, პუშკინის ქუჩაზე მიმდინარე გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სანიაღვრე სისტემის მოწყობა და წინამოსამზადებელი სამუშაოები, რის შემდეგაც მოხდება გზის მოასფალტება.

დღესვე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ნოდარ პაპუაშვილმა სოფელ სამრეკლოში, ეწ. „დამპალოს უბანში", ახლად მოასფალტებული გზა მოინახულეს . უბნის მცხოვრებლებმა მერს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადეს.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული მშენებლობების შესახებ ინფორმაციას ეტაპობრივად მოგაწვდით.

ზეიმს მიღმა დარჩენილი რეალობა

მეორე მსოფლიო ომი 74 წლის წინ დასრულდა. ომი, რომელმაც მთლიანად შეცვალა სამყარო, აზროვნება, მსოფლმხედველობა და უამრავი ადამიანის მომავალი ცხოვრება. მეორე მსოფლიო ომში ერთმა დიდმა ბოროტებამ, მეორე დიდი ბოროტება დაამარცხა და ამით, თითქოს სამუდამოდ მოირგო ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის როლი.

რატომ უნდა აღვნიშნოთ ეს დღე? ან რა უნდა აღვნიშნოთ? რა უნდა შემოვინახოთ? რა უნდა გვახსოვდეს? საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ეს კითხვები მუდმივად აქვს. სოციუმში მუდმივად მუსირებს აზრი, რომ ეს არ ყოფილა საქართველოს ომი. ყველამ ვიცით, რომ საქართველო ამ დროს დამოუკიდებელი ქვეყანა არ იყო. ის იყო ბოროტების იმპერიის მიერ ოკუპირებული ქვეყანა. მაგრამ ფაქტები 74 წლის შემდეგაც ჯიუტად მეტყველებენ: საქართველოდან მეორე მსოფლიო ომში 700,000 ადამიანი წავიდა, აქედან ნახევარი კი უკან არ დაბრუნებულა. ვინც გერმანელების ტყვეობას გადაურჩა, მას არანაკლები სატანჯველი — გადასახლება მოუხდა. ომისა და ომის შემდგომი პერიოდის ამ საშინელებას გამოვლილები ბევრნი აღარ არიან. დღეს-დღეობით, დედოფლისწყაროში, ფაშიზმზე გამარჯვებას მხოლოდ და მხოლოდ 4 ვეტერანი აღნიშნავს, უმრავლეს სოფლებში კი ისინი, სამწუხაროდ, უკვე აღარ არიან. ამ ადამიანებს ცხოვრების დიდი ნაწილი საბჭოთა ეპოქაში დარჩათ, ტოტალიტარულ ეპოქაში, რომელმაც „სტალინისა და სამშობლოსთვის" მსხვერპლის გაღება უკარნახა და გააღებინა კიდეც - გმირულად, გულწრფელად, რწმენით, რომ საკუთარ სამშობლოს, საკუთარ ოჯახებს იცავდნენ. მეორე მსოფლიო ომში, როცა ერთმანეთს ორი ბოროტება ებრძოდა, საქართველომ, სტალინის სამშობლომ, პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო.

საკამათო არაა, რომ ქართველ ვეტერანებს სალაპარაკო ბევრი აქვთ. სალაპარაკო ომზე და იქ დაკარგულ ასიათასობით თანამემამულეზე, 9 მაისი მათი გამარჯვების დღეა. მაგრამ ამავდროულად, ეს დღე იმ ქართველების დამარცხების დღეცაა, რომლებიც საპირისპირო მხარეს, კომუნიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამავდროულად, ეს დღე ისტორიის გააზრების დღეც უნდა იყოს. მოვლენა, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის 1939 წლის 1 სექტემბრიდან იწყება და 1945 წლის 2 სექტემბერს მთავრდება (ამ დღეს მოაწერა ხელი იაპონიამ კაპიტულაციას), რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 1941 წლის 22 ივნისს იწყება და 1945 წლის 9 მაისს მთავრდება. განსხვავებული და სახეშეცვლილი ისტორია, ჩვენი „კეთილმოსურნე მეზობლისთვის" განხილვის საგანი არაა და არც კვლევის საკითხს წარმოადგენს, მაგრამ იმ ქვეყნებისთვის, ვინც ამ ომში იმაზე მეტი გაიღეს, ვიდრე შეეძლოთ, ნამდვილად დასაფიქრებელი და მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ნაციზმისა და ფაშიზმის დამარცხებას სხვა ქვეყნებიც აღნიშნავენ. ეს დასამალი ფაქტი არაა. თუმცა, ყოფილ საბჭოთა სივრცეში ეს მოვლენა ისეა წარმოჩენილი, თითქოს საბჭოთა კავშირი აგრესიის მსხვერპლიდან ტრიუმფატორად იქცა და პრაქტიკულად მარტომ შეძლო კაცობრიობის ისტორიის ყველაზე დიდი ომის მოგება. საბჭოთა კავშირი ისევეა დამნაშავე ომის გაჩაღებაში, როგორც ნაცისტური გერმანია. ისტორიის სიღრმეებს თუ დავუჯერებთ,საბჭოთა კავშირი არ იყო გამარჯვების მთავარი შემოქმედი. მეტიც, ამერიკა ომში ჩაბმამდე აქტიურად ეხმარებოდა საბჭოთა კავშირსა და სხვა მოკავშირეებს. დღევანდელ, თანამედროვე ცხოვრებაში კი, დიდი სამამულო ომის ნარატივი რუსული პროპაგანდის მთავარ იარაღადაა ქცეული. რუსული ნარატივი გვეუბნება, რომ რუსებმა, უკრაინელებმა, ბელარუსებმა, ქართველებმა, სომხებმა და ა.შ. ერთად, ერთი დროშის ქვეშ დავამარცხეთ კაცობრიობის ისტორიის ყველაზე დიდი ბოროტება, ამიტომ მომავალიც საერთო გვაქვს, ახალი სსრკ-ს სახით. თავის დროზე, სწორედ ამ ომმა მოახერხა ხელოვნურად და ძალადობრივად შეკოწიწეული საბჭოთა კავშირის შენარჩუნება. საერთო მტრის ხატმა და შემდგომში საერთო დიდმა გამარჯვებამ, დროებით, მაგრამ მაინც შეძლო თავისუფლების მოყვარე ხალხების პროტესტის ჩაცხრობა. რომ არა ბოლშევიკური ოკუპაცია, ვინ იცის, იქნებ ასი ათასობით ქართველის ომში წასვლა საერთოდ არ გამხდარიყო საჭირო. იქნებ საჭირო არც გამხდარიყო ასობით შინმოუსვლელთა მემორიალი, რომელიც დღეს დღეობით პატივდაკარგული და მიუხედავია. ამისთვის ერთი მაგალითიც კმარა, სოფელ არბოშიკის მემორიალი, რომელიც 1972 წლის 9 მაისს გაიხსნა. გახსნისას, შენობაში შინმოუსვლელთა მუზეუმი ამოქმედდა. არბოშიკიდან ომში 270 ადამიანი დაილუპა, ყველა მათგანის ფოტო არ არსებობდა, მაგრამ გვარები და ცარიელი ჩარჩოები მათთვის განკუთვნილ ადგილზე ეკიდა. 2006 წლამდე დარაჯი ჰყავდა, მეტ-ნაკლებად დაცული იყო, თუმცა შემდეგ წლებში უსახსრობის გამო დარაჯიც აღარ ჰყოლია შენობას. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, სოფლის მოთხოვნით ჭერის შეკეთებისთვის თანხები გამოიყო, კარიც დამონტაჟდა და შენობა შედარებით დაცული უნდა იყოს, მაგრამ... დღეს, ამ შენობას ფანჯრები ჩამსხვრეული აქვს, კედლებზე არსებული ძველი ფოტოსურათებიდან მხოლოდ მცირე რაოდენობაა შემორჩენილი. ჭერის ბათქაში დაზიანებულია, მასთან მისასვლელი კიბეებიც მსგავს მდგომარეობაშია და შენობის ძველი „დიდება" ნაკლებად შეგახსენებთ თავს. მემორიალი იმ ადამიანებს ვეღარ იხსენებს, რომლებიც ამ ომში დაილუპნენ. ომში, რომელიც არსებულ თუ არარსებულ იდეებს ემსახურებოდა. მემორიალის დღევანდელი გარემო ნაკლებად გამოხატავს იმ ადამიანების მიმართ პატივისცემას, ვისაც ყოველი ქართველი გულზე მჯიღის დაკვრით იხსენებს ქართულ სუფრაზე. ეს არის სწორედ ზეიმს მიღმა დარჩენილი რეალობა. თუკი ეს ომი ჩვენად მიგვაჩნია, ვზეიმობთ მასში გამარჯვებას და ჩვენ ჩვენი ომის გმირები გვიყვარს, იმ ელემენტარულსაც უნდა ვცეთ პატივი, მათი სახელების უკვდავსაყოფად თაობებმა რომ შეძლეს. ეს ყველაზე მცირედი რამაა, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. სწორედ მსგავსი დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ ხშირად თავგანწირვა მხოლოდ ერთჯერადი აქტი არ არის, ის თაობას თვითშეგნებას, მორალს უნერგავს და სწორისა და არასწორის გარჩევის საშუალებასაც აძლევს. მთავარია ეს სწორად გაანალიზდეს.

დამოუკიდებელი საქართველო ალბათ ოდესმე მაინც შეძლებს, რომ ამ მემორიალებს, ამ დღესა თუ მის გააზრებას უფრო დიდი შინაარსი შესძინოს. მეორე მსოფლიო ომში მონაწილეებს ნუ დავივიწყებთ, რომლებიც დღეს დღეობით ფიქრობენ, რომ „ევროპა იხსნის საქართველოს. რომ ის მსოფლიოს მონაპოვარია. ევროპამ იმდენი რამე გააკეთა, რომ მსოფლიო იხსნა. ნატოში გაწევრიანებაც აუცილებლად უნდა მოხდეს. რუსეთი წინააღმდეგია, რომ ჩვენ ნატოს წევრი გავხდეთ, მაგრამ მალე მოვა დრო და რუსეთიც იმავე გზას დაადგება, რასაც ჩვენ ვადგავართ ახლა. მსოფლიო აიძულებს ამას." ნურც მათ, რომელთაც საბჭოთა კავშირის დამარცხებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა სჯეროდათ და ვერმახტის რიგებში იბრძოდნენ. ნურც მათ, ვინც ომის დაწყებამდე და შემდეგ ემსხვერპლა საბჭოთა რეჟიმს.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„ჩაიფერფლები და დაბერდები, თუ გულში ბრძოლის ცეცხლი არ არის“...

ომი ხშირად ცვლის მსოფლიო რეალობას, ქვეყნების საზღვრებს, ომი – ეს ერთგვარი წყალგამყოფია, ახალი სამყაროს, ახალი ერის დასაწყისი, როდესაც კაცობრიობა თამაშის ახალ წესებს უნდა შეეგუოს. გამარჯვებულები ზეიმობენ, დამარცხებულები კი ცდილობენ, შეეგუონ მოცემულ სიტუაციას. მეორე მსოფლიო ომმა არა მხოლოდ ევრაზიის რუკა შეცვალა, არამედ ადამიანების გედიც... მსოფლიო ლიტერატურას შემორჩა გაცრეცილი სამკუთხა ბარათები და ლიტერატურა, რომელიც ომის განცდებზე გვიყვება...

„ჰოდა, აი, „გამაწესეს“, ანუ ნომერი დამაკრეს და წამართვეს საკუთარი გვარი და სახელი, რომ თუ ვინიცობაა... ნომრით გამომიცნონ. მე იგი სიკვდილის ანგელოზივით მძულს. რადგან სიკვდილის მერე კი არა, სიცოცხლეშიც არავინ მიცნობდა მე. რამდენჯერ მოვხვდი ქალაქის სამხრეთ სადგურში, რომელიც მუდამ სავსეა ქართველებით. მოდიან მზით დამწვარი ბიჭები და როცა ეშელონი ჩამოდგება, გუგუნებენ გაყინული ვაგონები: “ვაიმე ჩემო, ვაიმე ჩემო ვენახო”... მე, ერთი უბრალო ჯარისკაცი, არ ვფიქრობ ჩემზე. მე მათზე ვფიქრობ, მჭადით დაზრდილ შავტუხა ბიჭებზე და მენანება მათი უვაჟკაცოდ დატოვებული ოჯახები და მინდა მთელი ძალით ვიყვირო, რომ დაუბრუნონ ისინი საქართველოს მიწას, დაუბრუნონ ისინი და დაე, პირველმა ტყვიამ მიმსხვერპლოს მე. მოკლე ხანში შემასწავლეს საომარი ხელოვნება, თუ როგორ უფრო ადვილად შეიძლება მოკვლა მტრის. აღმოჩნდა, რომ ეს ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ფიქრი სინტაქსზე. საინტერესოა, იბრძოლო იქ, სადაც შენს მამა-პაპას არ უბრძოლია არასოდეს. მე აღარ ვიცი - რა იქნა მირზა გელოვანი, რომელსაც ჰქონდა უდიდესი ოცნება და რწმენა გამარჯვების.” - იწერებოდა ფრონტიდან ქართველი პოეტი, მირზა გელოვანი, რომლის პოეზია ომისა და სიყვარულის, მონატრებისა და დაბრუნების, ჯარისკაცის ფარავჯაში შენახული იების ულამაზესი ასახვაა. მირზა გელოვანი ომიდან არ დაბრუნებულა. მის მსგავსად ომიდან არ დაბრუნდა უამრავი ქართველი. მეორე მსოფლიო ომში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან 700 ათასამდე კაცი გაიწვიეს. ომს საქართველოს სსრ-ის 300 ათასი მაცხოვრებლის სიცოცხლე შეეწირა. ყველაზე დიდი მსხვერპლი ქერჩთან იყო, 120 ათასი ქართველი დაიღუპა. 700 ათასი ქართველიდან 224 ათასი სხვადასხვა ორდენითა და მედლით დაჯილდოვდა, ხოლო 164-ს გმირის წოდება მიენიჭა.

9 მაისს დედოფლისწყაროში მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი მიაგეს და შინმოუსვლელთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

ფაშიზმზე გამარჯვებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში წელს მეორე მსოფლიო ომის ოთხმა ვეტერანმა აღნიშნა: იოსებ ნატროშვილმა, ნიკო შანშიაშვილმა, რევაზ ჯანიაშვილმა და ზურაბ სულაშვილმა. თითოეულმა მათგანმა ცენტრალური ბიუჯეტიდან 600 ლარი, ხოლო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 250 ლარი და სიმბოლური საჩუქარი მიიღო. შინმოუსვლელთა მემორიალთან გამართულ ღონისძიებას მხოლოდ ერთი ვეტერანი - 94 წლის ზურაბ სულაშვილი დაესწრო.

საზოგადოებას ფაშიზმზე გამარჯვების 74 წლისთავი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრი კაპანაძემ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა, დედოფლისწყაროს სასაზღვრო სამმართველოს ხელმძღვანელმა მალხაზ ლომსიანიძემ და საკრებულოს წევრმა მიხეილ ბახუტაშვილმა მიულოცეს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი:*** „მე ამაყი ვარ, რომ ვარ იმ ადამიანების შთამომავალი, ვინც დაამარცხა ფაშისტური გერმანია. სწორედ მეორე მსოფლიო ომის გმირების დიდი დამსახურებაა ის, რომ ჩვენ დღეს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს შვილები ვართ და დღეს ჩვენ ასე ვამაყობთ ჩვენი კულტურით, ისტორიითა და იდენტობით. მინდა, ქედი მოვიხარო ჩვენი გმირების წინაშე, იმ ადამიანების წინაშე, ვისი გვარებიც ამ მემორიალზე იყო ამოტვიფრული...ნაწილი შემორჩენილია, მაგრამ ნაწილი დაზიანებულია და აღარ იკითხება. ამ მემორიალსაც მიეხედება და გვარებიც აღდგება. უდიდესი წვლილი გაიღო ჩვენმა ქვეყანამ ამ გამარჯვებაში. 350 ათასი ადამიანი ვეღარ დაბრუნდა, საუკეთესო გენოფონდი შეიწირა ამ ომმა. სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ ეს მემორიალი ხალხით იყო სავსე, ასევე მრავლად იყვნენ ომის ვეტერანებიც. მაგრამ სამწუხაროდ, წელს მხოლოდ ოთხი ვეტერანი შეხვდა 9 მაისს ცოცხალი. დღეს აქ მოსვლა მხოლოდ ერთმა მათგანმა -94 წლის ზურაბ სულაშვილმა შეძლო. ვინატრებდი, რომ მომავალ წელს, ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავზე აღგვენიშნოს ზურა პაპას 95 წლის იუბილეც“.

მეუფე დიმიტრი, ***ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი:*** „პირველ რიგში მივულოცავ ომის მონაწილეებს ამ დღეს. მინდა, ქედი მოვიხარო იმ გმირების წინაშე, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს დაცვას. მე არ შემრცხვება ვთქვა, რომ თითოეული ჩვენი თანამემამულე, სადაც არ უნდა იბრძოდეს ის, თავის წილ საქართველოს იცავს. ომის მონაწილეები იცავდნენ თავის სამშობლოს, ოჯახს, თავისი ქვეყნის ღირსებას და ამისათვის ისინი არიან გმირები. მათი საგმირო საქმეების შემხედვარე კიდევ ბევრ თაობას ექნება სიამაყე.“

ნუგზარ პაპიაშვილი, ***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:*** „მე, ამ ხნის ადამიანი, დღეს საოცრად ვღელავ, ვღელავ იმიტომ, რომ მეორე მსოფლიო ომი ყველას შეეხო. ბევრმა ოჯახმა განიცადა ის გრძნობა, რომელსაც ახლობელი ადამიანების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ჰქვია. სამამულო ომში ჩემი სამი პაპა მონაწილეობდა, მათგან ორი ფრონტიდან არ დაბრუნებულა. მე და ჩემი ოჯახი დღემდე განვიცდით მათი სიკვდილით გამოწვეულ ტკივილს, თუმცა, ჩვენი ტკივილი და ნუხილი არაფერია მილიონობით ადამიანის იმ ტრაგედიასთან, რომელიც ამ ომმა მიაყენა კაცობრიობას“.

ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ცნობით, საქართველოში შარშანდელთან შედარებით, სამწუხაროდ, 180 ვეტერანით ნაკლებია. ამჟამად დაახლოებით ომის 490 ვეტერანია, შარშან კი 670 დაესწრო გამარჯვების ზეიმს.

ინგა შიოლაშვილი

9 მაისი სოფლებშიც აღნიშნეს

„6 წელიწადში, როცა ფაშიზმზე გამარჯვების 80 წლისთავი აღინიშნება, ზურა პაპას 100 წელი შეუსრულდება. მთელი გულით ვისურვებ, რომ მან ეს თარიღი ჩვენთან ერთად იზეიმოს. ზურაბ სულაშვილი თქვენი სოფლიდანაა და ის ერთ-ერთი მათგანია იმ ოთხი დედოფლისწყაროელი ვეტერანიდან, რომლებიც დღევანდელ დღეს აღნიშნავენ. ვფიქრობ, რომ ეს თითოეული გამარჯვებელისთვის საამაყოა. “- განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სოფელ გამარჯვებაში 9 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

გამარჯვებელებმა ტრადიციას არც წელს უღალატეს და ფაშიზმზე გამარჯვების დღე სოფლის შინმოუსვლელთა მემორიალთან აღნიშნეს.

ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპლიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერის წარმომადგენელთან სოფელ გამარჯვებაში ზვიად ზვიადაურთან და საკრებულოს წევრთან, გიორგი ჭინჭარაულთან ერთად დაესწრო. ფაშიზმზე გამარჯვების დღე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც აღნიშნეს.

ლიტერატურული სპექტაკლი მირზაანში

სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის ეზოში, დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით, ფიროსმანის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი „ჩემი ფიროსმანი“ გაიმართა, რომელიც თბილისიდან მოწვეულმა სტუმარმა, 14 წლის ანანო ზავრაშვილმა ***წარმოადგინა.***

ღონისძიებაში დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის სკოლის ანსამბლიც მონაწილეობდა. საღამო ღია ცის ქვეშ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და დედოფლისწყაროს მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარდა. ღონისძიებას თბილისელი სტუმრებიც ესწრებოდნენ. საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ფიროსმანის მკვლევარმა **ანზორ მაძღარაშვილმა,** დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა **ილია მარტყოფლიშვილმა,** კულტურის ღვაწლმოსილმა მუშაკმა **ნელი გობეჯიშვილმა** და სხვა სტუმრებმა.

ანანო ზავრაშვილი: „ლიტერატურული სპექტაკლი არაერთი ცნობილი ადამიანის შესახებ მაქვს მომზადებული. ერთხელაც, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებაზე მუშაობის დროს, შემთხვევით აღმოვაჩინე, მისი ფიროსმანთან შეხვედრის დეტალი. ძალიან დავინტერესდი მირზაანელი თვითნასწავლი მხატვრით, ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა მისმა მისტიურობამ, რადგან მისი საფლავი ისევ უცნობია. ჩავუღრმავდი მის ბიოგრაფიას და ეს სპექტაკლი მოვამზადე. პრემიერა გასული წლის ნოემბერში, თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა, რომელიც მუსიკალურად ქსოვრელებმა გააფორმეს. იქ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს წარმომადგენლები და ბევრი საინტერესო სტუმარი ესწრებოდა. სწორედ მაშინ დაიბადა იდეა, რომ სოფელ მირზაანშიც ჩამოვსულიყავით და ადგილზე ჩაგვეტარებინა. ზამთარში ეს ვერ მოხერხდა და გადავწყვიტეთ, ჩვენი იდეა ამ თარიღისთვის განხორციელებულიყო. დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრის დირექტორი გვერდში დაგვიდგა, ძალიან მოინდომა და ერთობლივი ძალებით მშვენიერი საღამო შედგა. ამიტომ, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ილია მარტყოფლიშვილს, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისთვის. ვინაიდან ქსოვრელებმა ჩამოსვლა ვერ მოახერხეს, ადგილობრივი ანსამბლის ჩართულობა მნიშვნელოვანი იყო და მათ ძალიან გაგვილამაზეს ეს დღე. მათმა ნიჭმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამინდმაც ხელი შეგვიწყო და ყველანაირად კმაყოფილი ვბრუნდებით. ძალიან მომეწონა მირზაანი, მომეცა საშუალება, დედოფლისწყაროში ელიას მთის მონასტერი და სხვა საინტერესო ადგილებიც მენახა“.

„გვიხარია, რომ ამ ღონისძიებაში ჩვენი ანსამბლიც მონაწილეობს და ასეთი ნიჭიერი გოგონა გავიცანით. ძალიან მოხიბლული ვართ ანანოს ოსტატობით. ამიტომ, გვინდა, მხარდაჭერა გამოვხატოთ და მზად ვართ, სამომავლოდ, მის აქტივობებში ჩვენც ჩავერთოთ და მონაწილეობა მივიღოთ სხვადასხვა ღონისძიებაში,“ – აღნიშნა ანსამბლის ხელმძღვანელმა გელა გველუკაშვილმა.

საღამოს მნიშვნელობაზე ისაუბრა ანზორ მაძღარაშვილმაც, რომელსაც ამ მუზეუმის შექმნასა და განვითარებაში ლომის წვლილი აქვს. მისი თქმით, სასიხარულოა, რომ მომავალი თაობა ფიროსმანის შემოქმედებით ინტერესდება. „ასეთი შინაარსიანი ღონისძიებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს და ამ ღამაზ გოგონას, რომელმაც საოცარი ოსტატობით წარმოადგინა ფიროსმანის ცხოვრების საინტერესო დეტალები. წარმოდგენას დიდი ლაზათი მისცეს გელა გველუკაშვილის ანსამბლმა და რა სასიამოვნოა, როცა ამდენი ბავშვი სტუმრობს ნიკო ფიროსმანის ეზოს და მათ ასე უყვართ ნიკალა. ბედნიერებაა, რომ ფიროსმანის ნაფუძვარზე ისმის ქართული ხალხური სიმღერა. ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მისი გარდაცვალების 100 წლისთავი ასე აღინიშნებოდა მირზაანში. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ფიროსმანის სულიც აქ ტრალებს და ამ ყველაფრის მოწმეა,“ – აღნიშნა ფიროსმანის მკვლევარმა ანზორ მაძღარაშვილმა.

„მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ფიროსმანის დაბადების, ან გარდაცვალების ზუსტი თარიღები ცნობილი არ არის, რამდენიმე წყაროს მიხედვით, სავარაუდო თარიღები შემორჩენილია. ზოგიერთი ვერსიით, 5 მაისი ფიროსმანის დაბადების დღეა. კირილე ზდანევიჩიც წერს, რომ ნიკალა 5 მაისს იყო დაბადებული. ვფიქრობ, ეს წყარო სარწმუნოა, რადგან, შესაძლოა, ზდანევიჩმა სწორედ ფიროსმანისგან იცოდა. ცნობილია, რომ ზდანევიჩი და ფიროსმანი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს... ამიტომ, გვინდოდა ეს დღე განსაკუთრებით აღენიშნა ჩვენს მუნიციპალიტეტს და ვფიქრობ, ჩვენი ჩანაფიქრი წარმატებით განხორციელდა. დედოფლისწყარო ამაყობს, რომ ამხელა მასშტაბის თვითნასწავლი მხატვარი ჩვენი რაიონის შვილია და გვახარებს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. მოგეხსენებათ, ფიროსმანის ნამუშევრები სულ რამდენიმე კვირის წინ საფრანგეთში გამოიფინა,“ - განაცხადა დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრის დირექტორმა, **ილია მარტყოფლიშვილმა.**

საბიბლიოთეკო კვირეული დასრულდა

დედოფლისწყაროს სოფლებში საბიბლიოთეკო კვირეული დასრულდა. 30 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით, თითქმის ყველა სოფელში შედგა ღონისძიებები სლოგანით - „ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური აქტივობის ცენტრი“.

სოფელ ზემო მაჩხაანისა და მირზაანის ბიბლიოთეკებში 30 აპრილს შედგა ნაირა გელაშვილის წიგნის პრეზენტაცია „აკამუკის გზები“, ხოლო არბოშიკის ბიბლიოთეკაში საუბრების ციკლი „წიგნი და მკითხველი“. ოზაანის ბიბლიოთეკამ წარადგინა ირაკლი ციგროშვილის წიგნის „მზეში და უმზეოდ“ პრეზენტაცია. გამარჯვების ბიბლიოთეკამ ტ. ზოზრაშვილის წიგნის „დიდი ქართველები“ პრეზენტაცია გამართა. სოფელ ხორნაბუჯში შედგა საბავშვო „ვეფხისტყაოსანის“, სოფელ სამრეკლოში იოსებ გრიშაშვილის წიგნების განხილვა.

ზემო ქედსა და ქვემო ქედის ბიბლიოთეკებში წიგნები: თ. ადამიას „შემეცნებითი ზღაპრები“ და მუხრან მაჭავარიანის ლექსები განიხილეს. სოფელ არხილოსკალოს ბიბლიოთეკაში შედგა წიგნების პრეზენტაცია - მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვა“ და ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“. სამთაწყაროსა და საბათლოს ბიბლიოთეკებში 6 მაისს შედგა ლექცია-მოხსენება, თემაზე - „ქართული ტოლერანტობა“.

„საგანგებოდ საბიბლიოთეკო კვირეულისთვის, მოვამზადეთ და წარმოვადგინეთ ბრბოს ფსიქოლოგიის ამსახველი სლაიდ-შოუ, ასევე ბავშვებს გავაცანით ჩვენი სოფლის დაარსების ისტორია და საინტერესო ცნობები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია პატარებში. საინტერესო ღონისძიება გამოვიდა,“ – აღნიშნავს სოფელ არხილოსკალოს ბიბლიოთეკარი მაია მნათობიშვილი.

კვირეულთან დაკავშირებით ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა თემატური გამოფენა, ასევე დასკვნითი ღონისძიება „ვიცნობდეთ და გვიყვარდეს“. შედგა წიგნის პრეზენტაცია - საბავშვო მოთხრობები და „მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ დედოფლისწყაროს №2 და №3 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებთან. კვირეულის ფარგლებში მოეწყო გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების განხილვა, ასევე „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“ და „წიგნი, რომელიც შეგიცვლით აზროვნებას“

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს, მათ შორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ზეპირ ჟურნალს ესწრებოდა დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ილია მარტყოფლიშვილი. მან ბიბლიოთეკარებს პროფესიული დღე მიულოცა და წარმატებები უსურვა.

„პროფესიული დღე მინდა მივულოცო წიგნის მცველებს, ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებს, ვინც ბევრი ენერგია ჩადო დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში წიგნების და ბიბლიოთეკების გადარჩენისა და მისი დაცვის საქმეში. ხშირად ენთუზიაზმზე და წარმოუდგენლად დაბალ ხელფასზე, ურთულეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა და დღემდე ასეა. ყველაფრის მიუხედავად, ისინი მაინც ერთგულად დარაჯობენ წიგნად ფონდს. საბიბლიოთეკო კვირეულიც ღირსეულად აღინიშნა. მადლობელი ვარ თითოეული მათგანის, ამ დამოკიდებულების გამო. თუმცა, მოსახლეობის ინდიფერენტულობაზეც უნდა ითქვას. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ სოფლებში იშვიათად ტარდება სხვადასხვა კულტურული თუ შემეცნებითი აქტივობები, ადგილობრივი მოსახლეობის სრული უმრავლესობა ინტერესს არ გამოხატავს, დაესწროს და სულიერი საზრდო მიიღოს ასეთ ღონისძიებებზე. ხალხი გადაეჩვია კულტურულ ღონისძიებებზე სიარულს, ამაზე გავლენას მძიმე სოციალური ფონიც ახდენს. ეს რეალობა გვაქვს დღეს, რომ ყველა ოჯახს სხვადასხვა საზრუნავი აქვს და თავს უფლებას აღარ აძლევენ ასეთ საღამოებზე იარონ. თუმცა, კულტურის ცენტრი ყველა ღონეს იხმარს საიმისოდ, რომ ჩვენი მოქალაქეები გააქტიურდნენ,“ – აღნიშნა ილია მარტყოფლიშვილმა.

საბიბლიოთეკო კვირეულს ტრადიციული სახე აქვს და მთელი საქართველოს მასშტაბით ყოველწლიურად იმართება.

რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?!...

„ბერი მუხა ვარ, ტოტებგამხმარი, ფესვით ამ მიწის ძუძუს მწოველი.“
ჯუმბერ უთრუთაშვილი

რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?! – საქართველოში ყველა პოეტია, ყველა ქართველი პოეტი კი ორგზის პოეტიაო, – უთქვამთ. დღეს ორგზის პოეტების თავყრილობაზე შევიკრიბეთ ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზის გამო. ჩვენი უხუცესი პოეტი, წლების განმავლობაში რაიონის მწერლებისა და პოეტების თავკაცი ჯუმბერ უთრუთაშვილი 80 წლის გახდა, **- მრავალუამიერის ფონზე ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენიდან განაცხადა საღამოს წამყვანმა ცარო მარტიაშვილმა და ბატონი ჯუმბერი სცენაზე, ყვავილებით დამშვენებული თეთრი სავარძლის დასაკავებლად მიიწვია.**

ჯუმბერ უთრუთაშვილი სოფელ არბოშიკში, იოსებ უთრუთაშვილის და ნინო სუხიტაშვილის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. განებივრებული ბავშვობა არ ჰქონია, რადგან, ჯერ კიდევ წლინახევრისას, დედა გარდაეცვალა. ქალბატონმა ნინომ 28 წლის ასაკში მძიმე ოპერაცია ვერ გადაიტანა და სამი ობოლი შერჩა ხელთ ცალუღლად დარჩენილ იოსებს: 5 წლის ციალა, 3 წლის დურმიშხანი და წლინახევრის ჯუმბერი. იშვიათად ხდება, როცა ასეთი წვრილშვილი მამაკაცი ხელახალ დაქორწინებაზე არ ფიქრობს და თავს იდებს დედ-მამის როლის შესრულებას. იოსებმაც ასე გადაწყვიტა და, მიუხედავად იმისა, რომ მას მეცხვარეების მომარაგება ევალებოდა და მათ მომთაბარე ცხოვრებაზე იყო მიბმული, ყველანაირად ცდილობდა, შვილების გაზრდაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. პირველ ხანებში ძმას ასანურში გათხოვილი და თინა ამოუდგა მხარში, რამდენიმე წელში ციალაც წამოიზარდა და შეეხიდა მამას. პატარა დიასახლისმა თავს იდო ძმებზე ზრუნვა და მათ დედობრივი ამაგი დასდო.

მადლიერებით იხსენებს ბატონი ჯუმბერი აგრეთვე არბოშიკელ კარის მეზობელს მაშო ბაღაშვილს, რომელიც, როგორც იტყვიან, ლუკმას უყოფდა ობლებს. ასევე ემადლიერება იგი თავის მასწავლებლებს: ეკატერინე ბაცაცაშვილს, ბიძინა სეხნიაშვილს, მერი კოჭლამაზაშვილს, რომლებმაც კეთილი კვალი დატოვეს მის ცხოვრებაში. ყველა ამ ადამიანმა თავ-თავისი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მას არასოდეს გადაუდგამს მცდარი ნაბიჯი, უკეთური არასდროს არაფერი გაუკეთებია, რომ პატიოსანი და სამართლიანი ადამიანი დადგა. მამისგან გამოჰყვა ქრისტიანული სული და რწმენის სიმტკიცე, მამისგან, რომელიც იმ უღმერთო რეჟიმში მორწმუნეობის გამო „შეჩვენებულის“ სტატუსს ატარებდა.

არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობამ თბილისში, ერთწლიან სამშენებლო სასწავლებელში გააგზავნა. მაშინ შეთვისებული მშენებლის, მლესავის და სხვა ხელობები ცხოვრებაში ბევრჯერ გამოიყენა, მათ შორის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის და წმინდა ილია თეზბიტელის ეკლესიის მშენებლობისას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში დაბრუნდა და მუშაობის პარალელურად საღამოს სკოლაში გააგრძელა სწავლა. ამასობაში სავალდებულო სამხედრო სამსახურმაც მოუწია. იქიდან დაბრუნებულმა ცხოვრებისთვის ქალაქი რუსთავი აირჩია და მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, სადაც რვა წელი იმუშავა. აქ გაიცნო ქიმიკოსი **რაია მოდებაძე**, მასთან ოჯახი შექმნა და წარსულში დატოვა ბევრი ოცნება, მათ შორის უმაღლესი განათლების მიღებისა. ბოლოს დედოფლისწყაროში დასახლდნენ. გულიანად მოეკიდა ოჯახს, მეუღლეც მშრომელი და ერთგული გამოადგა. ძირითად სამუშაოსთან ერთად, ოჯახის ამოსაშველებლად, ეწეოდნენ მებაღეობა-მებოსტნეობას, მესაქონლეობას, მევენახეობას.

მუშაობდა გაზიფიკაციაშიც, პურსაცხობშიც, სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგედაც, მაგრამ მისი სული სხვა, უფრო ახლობელ და საყვარელ ადგილს ეძებდა და მიაგნო კიდეც. რამდენიმე წელი გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში მუშაობდა ლიტმუშაკად, მერე კი ზემო მაჩხაანის საკოლმეურნეო გაზეთის „კომუნიზმისკენ“ რედაქტორი იყო. საკუთარი ნაფიქრალ-ნააზრევის, განცდების, სიხარულისა თუ ტკივილის ქაღალდზე გადატანის სურვილი და მოთხოვნილება სიჭაბუკეშივე გაუჩნდა და აქ მიეცა საშუალება, საზოგადოებისთვის ხმა მიეწვდინა, თავისი სათქმელი ეთქვა, ძირითადად ლექსად ჩამოქნილ სტრიქონებში. წიგნის კითხვა, ნაკლებად არსებული შესაბამისი პირობების მიუხედავად, მუდამ უყვარდა. მწირი შემოსავლის ფონზეც, არ ენანებოდა წიგნის შესაძენად გაღებული თანხა. მისი სამაგიდო წიგნები, მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად, იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული დიალექტები, ანდაზები და კილოთქმები და სხვ. სწორედ ამიტომ არის ჯუმბერის სიტყვა ასე ღრმა და ძირძველი. მისი ლექსები გულიდან ამოხეთქილი გრძნობაა ხან სიხარულიანი, ხან სიამაყით სავსე ქართული გენის ყივილით, ისტორიული მომენტებით, გმირებით, მეფეებით, დედოფლებით, ხან კი ტკივილებით – ბედის უკუღმართობით, უსამართლობით, უსულგულობით, ღალატით გამოწვეული. სიობლის დაღი არ აკმარა ბედისწერამ და გაუსაძლისი ტკივილიც შეახვედრა. როცა ოჯახი გამართა, შვილები დაზარდა და თავი ბედნიერად იგრძნო, იქ წამოეწია მუხთალი ბედი ტიალი. მისი უმცროსი, როგორც თავად ხშირად უწოდებს კოჟანდარი შვილი - 19 წლის მალხაზი ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა და მამის გულს მოურჩენელი იარა დაუტოვა. სწორედ ამ ტკივილმა შექმნა მისი ლექსების პირველი კრებული „მამის ცრემლები“. მისი ლექსები შესულია „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“, კახეთის პოეტთა კრებულში „ირმების გადასახედი“, მისი შემოქმედებითი ათწლეულები შემდგომ წიგნებში „ზედაშე“, „ამაღლება“ და „გოლგოთა“ გაერთიანდა, მის მიერ განვლილი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დაიბეჭდა ნელი გობეჯიშვილის წიგნში „ისინი ქმნიან ისტორიას“, ახლა გამოცემის პროცესშია ახალი კრებული, რომელსაც „ჯვარი“ ეწოდება. ლექსთან ჭიდილის გარდა, ჯუმბერი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურია. ორი ათეული წლის წინ, მისი ინიციატივითა და თანამოკალმეთა თანადგომით, ჩვენს რაიონში დაარსდა ლიტერატურული გაერთიანება „ფიროსმანი“, რომელიც შემდგომში მწერალთა კავშირის ასოციაციად ჩამოყალიბდა და ბევრი საინტერესო საქმეც გააკეთა: გამართა შეხვედრები ცნობილ პოეტებთან და მწერლებთან – **მაყვალა გონაშვილთან, დარეჯან ბატიაშვილთან, მარინა ცხვედიაშვილთან, ვენერა ნატროშვილთან, ზიზო ბურდულთან** და სხვებთან. ასოციაციის წევრები, თავიანთი შემოქმედებით, ყოველთვის ამშვენებენ რაიონში გამართულ არაერთ ღონისძიებას. ჯუმბერ უთრუთაშვილის ხელმძღვანელობით ასოციაციამ მოამზადა და გამოსცა რაიონის მწერალთა შემოქმედებითი კრებულის „სალბუნი“ სამი ტომი, რომელსაც ბევრი კეთილშობილი ადამიანის ფინანსური თანადგომა დასჭირდა. ასოცოაციის მხარდაჭერით მასში გაერთიანებულმა არაერთმა შემოქმედმა მოახერხა წიგნის გამოცემა. ჯუმბერი ამ ასოციაციას მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა და ახლაც აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში. სწორედ ამ საქმიანობის შეჯამება გახლდათ მისი 80 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო, რომელზეც თავი მოიყარა რაიონის ინტელიგენციამ, მეგობრებმა, ახლობლებმა, სტუმრებმა, ხალხმა, რომელსაც კარგად ესმის სიტყვის ძალა და მნიშვნელობა, რადგან „პირველად იყო სიტყვა“... პირველი იუბილარს მისი შემოქმედების თაყვანისმცემელი და დამფასებელი, რაიონისთვის კარგად ცნობილი და საყვარელი მომღერალი **ვასილ ტუხაშვილი** მიესალმა სიმღერით „მეგობარო“, რომელიც თავისი შინაარსით სრულად მიესადაგება ადრესატს.

ქართული სიტყვის პოპულარიზაციის მიზნით ბატონი ჯუმბერის დამსახურებაზე ისაუბრა მწერალთა კავშირის დედოფლისწყაროს ასოციაციის თავჯდომარემ და ჟურნალ „ხორნაბუჯის“ რედაქტორმა **გიორგი ნატროშვილმა**: – მნიშვნელოვანი დღეა, რადგან საზოგადოება აფასებს ისეთი მოკრძალებული ადამიანის და ძლიერი შემოქმედის განვლილ გზას, როგორიც ჩვენი მხცოვანი პოეტი ჯუმბერ უთრუთაშვილია. ჯუმბერის ლექსები ერთი დიდი კრიალოსანია, სადაც თავმოყრილია პატრიოტიზმი, უფლის სადიდებელი, მეგობრობა, თანადგომა,სიყვარული და სხვა მრავალი ზნეკეთილი თვისება მხატვრულ რითმაში გასხივოსნებული. მადლობა ამ ყველაფრის დანახვისა და დაფასებისთვის ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ ღონისძიების ორგანიზებაში - რაიონის ხელმძღვანელობით დაწყებული კულტურის სამსახურის თითოეული თანამშრომლის და მათი დირექტორის ილია მარტყოფლიშვილით დამთავრებული, რომელმაც თავისი საქმიანობის დებიუტი ამ კარგი ჟესტით დაიწყო“, – თქვა გიორგი ნატროშვილმა და თავისი გამოსვლა აწ გარდაცვლილი პოეტის ზურაბ ცისკარაულის ჯუმბერისადმი მიძღვნილი ლექსით დაამთავრა.

პოეტს მიესალმნენ დედოფლისწყაროელი კოლეგები: **თამაზ წიკლაური, ლევან ალავერდაშვილი, ნატო ყატაშვილი,** სტუმრები მწერალთა კავშირიდან: **ზაალ ბოტკოველი** და **ვანო ჩხიკვაძე,** დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები - **ცისანა მჭედლიშვილი** და **კლარა ოზაშვილი,** კულტურის სამსახურის ღვაწლმოსილი მუშაკი **ნელი გობეჯიშვილი,** მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების თანათავმჯდომარე **ნანა ჭიჭინაძე.**

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მილოცვით დაიწყო თავისი გამოსვლა მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ თამაზაშვილმა**: –„მადლობა ყველას, ვინც ამ ღირსეული ადამიანის დასაფასებლად მოხვედით, ადამიანისა, რომელიც ათეული წლები ქართულ სიტყვას ემსახურა. მისი და მისთანების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბევრი უნდა ვესაუბროთ ახალ თაობას, ვაჩვენოთ, როგორ ფასდება პატიოსანი ცხოვრება, ეს ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს. ჯანმრთელობას გისურვებთ, ბატონო ჯუმბერ და იმედს გამოვთქვამ, რომ არაერთი შესანიშნავი ლექსით გაახარებთ კვლავაც თქვენს ერთგულ მკითხველს“.

ბატონი ჯუმბერის შემოქმედებაზე და მის მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე ისაუბრა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ **თემურ ჩალაბაშვილმა:** – მადლობა ყველას, ვინც მოგვცა საშუალება, ამ ნიჭიერ და ალალ კაცს მოვფერებოდით, ბევრი ჭირისა და კარგის მნახველს და, როგორც თავად ამბობს, ბერმუხას, ფესვით ამ მიწის ძუძუს მწოველს. კვლავაც მრავალ ძარღვიან ლექსს ველოდებით მისგან, ჯერ არაფერი დამთავრებულა“, – თქვა ბატონმა თემურმა და საზოგადოებას აცნობა, რომ **მწერალთა კავშირმა ჯუმბერი გიორგი ლეონიძის სახელოზის პრემიით დაჯილდოვა,** რასაც, მოწონების ნიშნად, მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა. ცნობისთვის, ჯუმბერი მწერალთა კავშირის სიგელით გახლავთ დაჯილდოებული და არის საქართველოს მასშტაბით „მეტრის“ ნომინანტი ისეთ გამოჩენილ ადამიანებთან ერთად, როგორებიც არიან ელდარ შენგელაია, თენგიზ მუშკუდიანი და სხვანი.

– ბატონი ჯუმბერის არსებობა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ მისი წიგნიდან „მამის ცრემლები“ გავიგე, სადაც მის თავს დატეხილი მოულოდნელი ტრაგედიის შესახებ იყო საუბარი. ცხადია, ეს ტკივილი მის შემოქმედებაზეც აისახა და აღვფრთოვანდი. ჩემთვის ის არის თავდადებული შრომის, პატიოსნების და შემოქმედებითი ძიების ეტალონი. მისგან კვლავაც ბევრ მშვენიერ ლექსს ველოდებით, ნუ დადებთ კალამს, ბატონო ჯუმბერ, ბედნიერ სიბერეს გისურვებთ! – ასეთი პათოსით დაასრულა თავისი გამოსვლა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა **ილია მარტყოფლიშვილმა**, რომელიც ამ ღონისძიების ინიციატორი და მთავარი ორგანიზატორია, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის, ხოლო რაიონის ხელმძღვანელობას და ცენტრის თითოეულ მუშაკს მხარში დგომისთვის.

საღამოს თავისი ელფერი შესძინა, გააცოცხლა და გაალამაზა კულტურის სახლთან არსებულმა ვოკალურმა ჯგუფმა **„ედელვაისი“ ნინო ნიკვაშვილის** ხელმძღვანელობით. როგორც ყოველთვის, მაღალი საშემსრულებლო ხელოვნება აჩვენეს ჩვენი რაიონის ერთ-ერთმა გამორჩეულმა **პიანისტმა თამილა ნადირაშვილმა და მისმა მოსწავლეებმა: ანა ჩუთლაშვილმა და თეკლა წიკლაურმა, მომღერალმა მარიამ ყოჩიაშვილმა, პაპის ერთ-ერთი გამორჩეული ლექსი წაიკითხა მისმა შვილიშვილმა ანა იგნატიევამ.**

მღელვარებისგან სათქმელს ძლივს მოუყარა თავი თავად იუბილარმა და როგორც სჩვევია, გრძელი სიტყვა მოკლედ თქვა: – მადლობა ყველას, ჩემი დაფასებისთვის. დღეს თქვენ, ჩემთან ერთად, ქართული სიტყვის მადლსა და ძალას მოეფერეთ, გაიხარეთ!

დღეს ჯუმბერ უთრუთაშვილი, მოუშუშებელი ტკივილის მიუხედავად, ბედნიერია. ჰყავს ორი შვილი - ციალა (დის ამაგის დასაფასებლად რომ უწოდა მისი სახელი) და იოსები, ოთხი შვილიშვილი. მისი ერთგული „შირაქელებიც“ ვუერთდებით ამ საიუბილეო მილოცვებს. ცალუღლად დარჩენილს სიცოცხლეს, მხნეობას და კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

ნაირა გორაშვილი

საგანგაშო სტატისტიკა და მოსალოდნელი ცვლილებები

„ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელშიც სასწრაფოს ავტომობილი მონაწილეობდა, მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა -11 იანვარი, 2019 წ...“

„ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავარიას სამი ადამიანი ემსხვერპლა -15 იანვარი, 2019 წ“...

„დედოფლისწყაროში ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა - 16 მარტი, 2019წ“...

ეს იმ შემთხვევების არასრული ჩამონათვალია, რომელიც წლის დასაწყისიდან დღემდე მოხდა. გარკვეული ცვლილებებისა და კანონის გამკაცრების ფონზე, სტატისტიკა ბოლო წლებში განსაკუთრებით მზარდია. ეს კი ათეულობით და ასეულობით ადამიანის დაკარგულ სიცოცხლეს ნიშნავს.

2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოს გზებზე ავტოავარიების შედეგად 116 ადამიანი დაიღუპა, დაშავდა 1779. წინა წლის იგივე პერიოდში ანალოგიური მიზეზით 107 ადამიანი დაიღუპა და 1 986 დაშავდა. ინფორმაციას შსს-ს მონაცემებზე დაყრდნობით საქსტატი ავრცელებს. უწყების ინფორმაციით მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში ავტოსაგზაო შემთხვევების 1302 ასეთი ფაქტი დაფიქსირდა (გასული წლის იგივე პერიოდში ეს მაჩვენებელი 1428 იყო), მათ შორის სიმთვრალით გამოწვეული იყო 50. სწორედ გზებზე ავარიებისა და ამის შედეგად დაღუპულთა მაღალი მაჩვენებელი გახდა მიზეზი ცვლიბებისა, რომელიც „საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონში“ ძალაში 2017 წლის პირველი ივლისიდან შევიდა. ცვლილებების თანახმად, ამოქმედდა ქულათა სისტემა და უკონტაქტო პატრულირება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძემ, გაეროს საგზაო უსაფრთხოების მე-5 გლობალური კვირეულის გახსნის ღონისძიების შემდეგ, საგზაო უსაფრთხოების კუთხით არსებულ სიტუაციასა და იმ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ისაუბრა, რომელსაც სამინისტრო სოციალური კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ პარალელურად ახორციელებს. მისი განცხადებით, იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც სანქციების გაზრდას გულისხმობს, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის, დგომა-გაჩერების წესების დარღვევისა თუ სიჩქარის გადაჭარბებისთვის. „2018 წელს სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ავტოსაგზაო შემთხვევებზე მოდის, თუმცა 459 დაკარგული სიცოცხლე მაინც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. შესაბამისად, ჩვენთვის პრიორიტეტია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა შემცირდეს. ამისთვის ვამატებთ კამერებს - წლის ბოლომდე ქვეყნის მასშტაბით 5 ათასამდე სხვადასხვა ტიპის კამერა იქნება - ნომრისა და სახის ამომცნობი, ზოგადი ხედვის და ა. შ. ვგეგმავთ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც უკვე მომზადებულია. თავდაპირველად, მთავრობის სხდომაზე განვიხილავთ და შემდეგ უკვე პარლამენტში. ცვლილებები გარკვეული მიმართულებებით სანქციების გაზრდას და გამკაცრებას ემსახურება. მაგალითად, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვა, დგომა-გაჩერების წესები დარღვევა, სიჩქარის გადაჭარბება. თბილისში საპატრულო ეკიპაჟების გაზრდას ვაპირებთ. გასაგები მიზეზების გამო ეს ჯერ თბილისის მასშტაბით მოხდება, რადგან ტურისტების რაოდენობა იზრდება და მოსახლეობის მესამედიც თბილისში ცხოვრობს. შემდეგ ეტაპობრივად რეგიონებშიც გაიზრდება. საპატრულო ეკიპაჟების გაზრდით ტერიტორიის გადაფარვა უფრო მეტად მოხდება და შესაბამისად, აღსრულების ეფექტიანობაც გაიზრდება. სანქციები სხვადასხვა გათვლებზეა დაფუძნებული, თუმცა, გამკაცრება ამ მხრივ ცალსახად მოსალოდნელია. მოხდება არამარტო ფულადი სანქციების გაზრდა, არამედ სხვა წესების გამკაცრებაც, როგორც სიჩქარის გადაჭარბებაზე, არამედ ყველა იმ კრიტიკული მიმართულებით, რაც სტატისტიკის მიხედვით გამოიკვეთა. ვგეგმავთ სიჩქარის გადაჭარბებაზე ქულათა სისტემის ჩამოკლება ვიდეოკამერებს მივაბათ “,- განაცხადა მან. რა რაოდენობით გაიზრდება საჯარიმო სანქციები და საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა, შინაგან საქმეთა მინისტრის

მოადგილეს არ დაუკონკრეტებია. მისივე თქმით, საკანონმდებლო პაკეტს პარლამენტში საგაზაფხულო სესიაზე წარადგენენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე გამოაქვეყნა მართვის მოწმობაზე მინიჭებულ ქულათა 2019 წლის 1-ლი კვარტლის მონაცემებიც. როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში მთელი ქვეყნის მასშტაბით 3 ადამიანს სრულად ამოეწურა 100 ქულა. მინიჭებულ ქულათა სრულად ამოწურვის შემთხვევები დაფიქსირდა - სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლისა და აჭარის მუნიციპალიტეტებში. ამასთან, უწყების ცნობით, საანგარიშო პერიოდში მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულები ჯამში, 129,269 პირს დააკლდა. აქედან, ყველაზე მეტ - 42 273 ადამიანს დააკლდა ქულები თბილისში; მას მოსდევს ქვემო ქართლი - 15 798 პირით. მხოლოდ ერთ ადამიანს დააკლდა ქულები რაჭა-ლეჩხუმში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გარკვეული სახის ცვლილებებს გეგმავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. პირებს, რომლებიც ავტომანქანას ფლობენ, მაგრამ მართვის მოწმობა არ აქვთ, ე.წ. ჭკვიანი კამერით სიჩქარის გადაჭარბების დაფიქსირების შემთხვევაში, მართვის მოწმობის არქონის გამო დააჯარიმებენ და ეს იმ შემთხვევაშიც მოხდება, თუ საჭესთან თავად არ ისხდებიან. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს რეფორმებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსმა ბექა ლილუაშვილმა განუმარტა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ მანქანის მფლობელს საშუალება ექნება, სანქცია

თავიდან აიცილოს იმ შემთხვევაში, თუ რეალურ სამართალდამრღვევს წარადგენს. ინიციატივის თანახმად, ვიდეოჯარიმებს ქულათა სისტემა უნდა მიებას. კერძოდ, მძღოლს მართვის მოწმობაზე ქულები ე.წ. ჭკვიანი კამერების მიერ სიჩქარის გადაჭარბების გამოვლენისას ჩამოაკლდება.

„ვიდეოკამერებით დღეს ვერ ვახდენთ უშუალოდ იმ პირის იდენტიფიცირებას, ვინც საჭესთან ზის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სანქციას იყენებს ე.წ. დანაშაულის პრეზუმფციის ცნების შესაბამისად. იმის გამო, რომ ვერ ახდენს პირის იდენტიფიცირებას, სახელმწიფო თვლის, რომ მესაკუთრემ ჩაიდინა სამართალდარღვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრეს არ აქვს მართვის უფლება, სახეზეა ორი სამართალდარღვევა. ერთი სამართალდარღვევა არის სიჩქარის გადაჭარბება, მეორე კი მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილის მართვა. ამ შემთხვევაში მართვის უფლების გარეშე მართვა უფრო მეტ სანქციას ითვალისწინებს. ორი სამართალდარღვევის შემთხვევაში კი სახელმწიფო ვალდებულია, აირჩიოს ის სამართალდარღვევა, რომელზეც სანქცია მეტია. შესაბამისად, მესაკუთრეს ამ შემთხვევაში ნომინალურად უფრო მეტი ფულადი სანქცია დაეკისრება, ვიდრე სიჩქარის გადაჭარბება ითვალისწინებს, ქულები კი, თავისთავად, ვერ ჩამოაკლდება, რადგან მართვის მოწმობა არ აქვს. აქედან გამომდინარე, ყველა ასეთ ადამიანს ექნება იმის მოტივაცია, რომ წარადგინოს ის პირი, ვინც იჯდა საჭესთან სიჩქარის გადაჭარბებისას“, - განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს რეფორმებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსმა ბექა ლილუაშვილმა. რაც შეეხება ჯარიმის თავიდან არიდების მექანიზმს, ლილუაშვილი განმარტავს, რომ ავტომანქანის მესაკუთრეს შესაძლებლობა ექნება, ჯარიმის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს ის პირი, ვინც სამართალდარღვევისას საჭესთან იჯდა. ასეთ შემთხვევაში მართვის მოწმობის გარეშე მანქანის მართვისთვის გათვალისწინებული სანქცია გაუქმდება, ხოლო წარდგენილ პირს სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაეკისრება ჯარიმა და ამასთან, მართვის მოწმობაზე ქულებიც ჩამოაკლდება. 10 დღიანი ვადის ათვლა კი მას შემდეგ დაიწყება, რაც მოქალაქეს ფოსტით გაგზავნილი საჯარიმო ქვითარი ჩაბარდება ან შსს-ს ოფიციალურ გვერდზე გამოქვენდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის მარტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირება გაიზარდა. კერძოდ, გასულ თვეში გამოვლენილი დარღვევები და მათზე რეაგირების სტატისტიკა ასეთია:

- მძღოლის მიერ მობილურით სარგებლობა - +127%, (31, 309 დარღვევა);
- ღვედის გამოუყენებლობა - +106%, (24, 261 დარღვევა);
- სიჩქარის გადაჭარბება - +63%, (არაუმეტეს 40კმ/სთ - 147, 217 დარღვევა, 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით - 1, 794 დარღვევა);
- ავტომობილის მართვა უფლების გარეშე - +44%, (4, 168 დარღვევა);
- მოძრაობის წესის, განლაგების ან/და მანევრირების წესის დარღვევა - +36,5%, (31, 814 დარღვევა);
- უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა - +5%, (30, 536 დარღვევა).

უწყების ცნობით, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა შემცირდა 4.5%-ით; გარდაცვლილთა რაოდენობა შემცირდა 22.6%-ით; დაშავებულთა რაოდენობა კი 10%-ით არის შემცირებული.

დღესდღეობით, აღარავინ კამათობს იმაზე, რომ გზების უსაფრთხოება გლობალური ჯანდაცვის პრობლემებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამაში სტატისტიკა ყოველწლიურად გვარწმუნებს: დედამიწაზე საგზაო შემთხვევებში ყოველწლიურად საშუალოდ მილიონ 250 ათასი ადამიანი იღუპება. 20-დან 50 მილიონ ადამიანს კი არაფატალური ტრავმები აქვს. ეს ყოველივე კი განვითარებულ ქვეყნებს საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის 3% უჯდება, დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებს კი — 5%. გადაჭარბებული სიჩქარე, შეუმოწმებელი ავტომობილები, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლები, მართვის მოწმობის აღების გამარტივებული გამოცდები, მძღოლის მოუწესრიგებლობა - ეს ავტოავარიების გამომწვევი მიზეზების ის მცირე ჩამონათვალია, რაზეც ექსპერტები საუბრობენ. იცვლება წესები, წესდება რეგულაციები, იზრდება სანქციები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ყოველი ახალი გამოქვეყნებული სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ ცვლილება მხოლოდ ცვლილებისთვის არ უნდა განხორციელდეს და მან რეალური შედეგი უნდა მოიტანოს.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

დედამიწის დღე საბათლოში

საბათლოს საჯარო სკოლაში, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა პროექტი: “ჩვენც მსოფლიოს ნაწილი ვართ”. მოსწავლეებს ვაჩვენეთ შემეცნებითი ვიდეომასალები დედამიწის შესახებ,დავრგეთ ოთახის მცენარეები, დავასუფთავეთ სოფლის სკვერი. ღონისძიება გაიმართა პირველიდან მეთორმეტე კლასის ქართული სექტორის ბავშვების მონაწილეობით. ღონისძიება ჩატარდა ინტეგრირებული პროექტის სახით, რომლის ინიციატორები იყვნენ მაია აივაზიანი, მაყვალა კობაიძე და სოფიო მამაჯანაშვილი. დაწყებითი კლასის მასწავლებელმა სოფიო მამაჯანაშვილმა ბავშვებს აჩვენა ვიდეო მასალები: დედამიწის ისტორია, გამარჯობა, დედამიწა, რა მოხდება დედამიწაზე წყალი რომ გაქრეს. ღონისძიების მიზანი იყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფეხის აწყობა და ბავშვებისთვის ბუნების დაცვის უნარების განვითარება. ასევე დაწყებითი კლასის მოსწავლეებში მცენარეზე ზრუნვის უნარ-ჩვევების განვითარება.

P.S. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ საბათლოს სკოლის დირექტორს გენადი ჩოვუშიანს მარდაჭერისა და თანადგომისთვის.

„მკვლელი“ სათამაშოები

ბავშვები ჩვენი ცხოვრების ყველაზე ლამაზი და მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ მათთვის ყველაფერი საუკეთესო გვემეტება და რაოდენ სანყენია, რომ მათთვის ვყიდულობთ ისეთ სათამაშოებს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს შეიცავს.

საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოების ხარისხი არ კონტროლდება. შესაბამისად, ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით საინტერესოა, მონმდება თუ არა სათამაშოები ლაბორატორიულად და რამდენად დაცულია მომხმარებლის უფლებები.

იმპორტირებული სათამაშოების ხარისხზე კონტროლის დაწესებასა და უსაფრთხოების დაცვაზე საუბრობს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე **მადონა კოიძე**. მისი განცხადებით, საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მონიტორინგი მხოლოდ სურსათზე მოქმედებს. „ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გამკაცრდეს კონტროლი ნებისმიერ საიმპორტო პროდუქციაზე, მითუმეტეს სათამაშოებზე.მომხმარებელი უნდა იყოს დაცული და ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია, რას ყიდულობს, რას მოიხმარს, ან რამდენად უსაფრთხოა მისთვის შეძენილი ნივთი. ქვეყანაში საკმაოდ გაახალგაზრდავებულია სიმსივნური და ენდოკრინული დაავადებები, ხშირია ალერგიული შემთხვევები, ამაზე კი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას. აუცილებელია, კონტროლი გამკაცრდეს საბაჟოზე, ვინაიდან ნებისმიერი პროდუქცია, მათ შორის სათამაშოებიც, რომელიც გადმოლახავს საქართველოს საზღვარს უნდა შემოწმდეს და დადგინდეს უვნებლობა. ამასთან დაკავშირებით კი ვალდებულებები უნდა დაეკისროს სახელმწიფოს გარკვეულ სტრუქტურას. დღეს-დღეობით, თუკი ეს დაევალება საბაჟო სამსახურს, მაშინ უნდა ჰყავდეს შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც გააკონტროლებს, რამდენად უსაფრთხოა გარკვეული პროდუქტი მომხმარებლისთვის“.

სათამაშოების უმეტესობას, რომლებიც ძირითადად ჩინეთიდან შემოდის, არ აწერია, რა ნივთიერებისგან შედგება, ლაბორატორია კი, რომელიც მის უსაფრთხოებას შეამოწმებს, ქვეყანაში არ არსებობს. ცდა, რა ნივთიერებებს შეიცავს ქართველი ბავშვებისთვის განკუთვნილი სათამაშოები სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა გერმანიაში ჩაატარა. გაირკვა, რომ სათამაშოების უმრავლესობა, რომელიც საქართველოში იყიდება, მათ შორის ქსელურ მაღაზიებში, სახიფათოა. მის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით ფტალატები და კადიუმი, ანუ პლასტმასის დამარბილებელი და მძიმე მეტალებია.

კვლევამ ისიც აჩვენა, რომ პრობლემა მხოლოდ დაბალ ხარისხში არ არის და ტოქსიკური ნივთიერებებს ძვირადღირებულ სათამაშოებიც შეიცავს. ეს თემა ძალიან აქტუალურია და ბოლო ათი წლის მანძილზე ყველა დონეზე განიხილება. ფტალატები ფტალმჟავას მარილები და ესტერებია, რომლებსაც წლიურად დაახლოებით ხუთ მილიარდ ტონას აწარმოებენ. წარმოებული ფტალატების 95% პოლიმერული მასალების წარმოებაში გამოიყენება, როგორც პლასტიფიქატორი, რომლებიც თავისუფლად გადაადგილდებიან, მაგრამ პლასტმასის ჩონჩხში არ შედის. ამიტომ გარემოსთან შეხებისას, ძალიან იოლად მიგრირებენ. ევროკავშირში გამოყენებული და წარმოებული ფტალატებია: დიმეთილ ფტალატი (DMP), დიბუთილ ფტალატი (DBP), დიეთილ ფტალატი (DEP), დი-2-ეთილჰექსილ ფტალატი (DEHP, DOP), ბენზილბუთილ ფტალატი (BBP) და ა.შ. ყოველწლიურად მხოლოდ დიმეთილფტალატი 20 ტონა მოიხმარება და ის პოლიმერული მასალის ძირითადი კომპონენტია. გარემოში მოხვედრისას ფტალატებზე ნიადაგში არსებული მიკროორგანიზმები მოქმედებენ, იწყება ჰიდროლიზი. შედეგად, წარმოიქმნება შხამი, ფტალის მჟავა. ფტალატები, სამწუხაროდ, არც ისე აქროლადები არიან. წყალსა და მიწაში მოხვედრისას მათი აქროლადობა ძალიან მცირეა.

ფტალატი ადამიანის ორგანიზმზე, რა თქმა უნდა, ცუდად მოქმედებს. აქვს აკუმულირების უნარი და ძირითადად ცხიმოვან ქსოვილში გროვდება. იწვევენ ჰორმონალური სისტემის რღვევას, აზიანებენ ღვიძლს, თირკმელებს, იწვევენ ალერგიას, ასთმას, კიბოს, ნერვული სისტემის აშლილობას. აფერხებენ ბავშვის განვითარებას. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში განსაზღვრეს, საშუალოდ ფტალატის რა რაოდენობას იღებს ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ დღის საშუალო დოზა, გამოსახული მიკროგრამებში წონის ერთ კილოგრამზე - ყველაზე მეტი რაოდენობით ერთ წლამდე ბავშვებზე მოდის და კილოზე 380 მიკროგრამს შეიძლება მიაღწიოს; სამ წლამდე ბავშვს — კილოზე 183 უგროვდება; ათ წლამდე ბავშვებს — კილოზე 54. ქალის ორგანიზმში კაცთან შედარებით, გაცილებით მეტია. ის კილოზე 124-ს აღწევს, კაცებში კი — კილოზე 92. ეს გასაგებიცაა, რადგან ქალბატონები გაცილებით მეტ კოსმეტიკას იყენებენ და ხშირ შემთხვევაში არც ჩნდება კითხვა, თუ რატომ შეიძლება ღირდეს ის იაფი. 2013 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე ფტალატების გამოყენება აკრძალული ყოფილიყო, თუმცა ეს გეგმა ვერ

განხორციელდა. ფტალატების გამოყენებაზე უარის თქმა, ძალიან, ძალიან ძვირი აღმოჩნდა. თუმცა თავადაც შეგვიძლია ფტალატების გამოყენება ოდნავ მაინც შევამციროთ:

1. ერთი და იმავე პლასტმასის ბოთლიდან ორჯერ არ დალიოთ წყალი. ანუ, მეორედ და მით უმეტეს, უფრო მეტად არ გამოიყენოთ. უფრო მეტიც, ნაყიდი წყალი დალევამდე ისეთ ადგილას არ დადგათ, რომ მზე მიწვდეს;

2. შეამცირეთ პროდუქტების გამოყენება, რომელთა შეფუთვაზე წერია სიტყვა „არომატიზატორი“, ფტალატები არომატიზატორების მდგრადობისთვის გამოიყენება.

3. პროდუქტები უფრო მინის შეფუთვით შეიძინეთ და არა პლასტმასის შეფუთვით;

4. თუ მაინც პლასტმასის შეფუთვით შეიძენთ რამეს, სახლში მინის ჭურჭელში გადაალაგეთ;

5. ბავშვის სათამაშოები შეიძინეთ ეტიკეტზე წარწერით — „ფტალატების გარეშე“.

6. იგივე ითქმის კოსმეტიკაზეც. ფტალატები თქვენს სახეს, თმებს, რბილად რომ ვთქვათ, ავნებს.

7. არ გამოიყენოთ პლასტმასის ჭურჭელი...

პედიატრები მშობლებს აფრთხილებენ, რომ ფტალატებსა და კადიუმთან ხშირი შეხება, ბავშვებში ნერვული სისტემის დაზიანებას, გონებრივი განვითარების შეფერხებას და მომავალში რეპროდუქციული ფუნქციის მოშლას ინვევს.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ქვეყანას ავალდებულებს, რომ კონტროლდებოდეს ნებისმიერი პროდუქტი, მათ შორის სათამაშოებიც. თუმცა საქართველოში ეს ვალდებულება ჯერ არავის ეკისრება. დასავლეთის ქვეყნებში პროდუქციის ხარისხს ყოველთვის გულდასმით ამოწმებენ. სწორედ ამიტომ, ევროკავშირში ძალიან პოპულარულია არასასურსათო პროდუქტების სწრაფი განგაშის სისტემა (RAPEX), რომელიც მავნე პროდუქციის შესახებ ინფორმაციას თავის ყოველკვირეულ ანგარიშში აქვეყნებს. ამ ანგარიშებს რომ გადახედოთ, გაოცდებით: მავნე პროდუქციის ჩამონათვალში შეხვდებით ისეთ უწყინარ ნივთებს, როგორიცაა: ჩანთა, ბავშვის შარვალი, მაისური, სათამაშოები, კოსმეტიკა და ა.შ...

გამოქვეყნებისთანავე, საზიანო პროდუქციის შესახებ ინფორმაცია მთელ ევროპაში ვრცელდება და ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. ევროკავშირის ყველა ქვეყნის მაკონტროლებელი უწყება ვალდებულია, ყურადღებით გაეცნოს ამ ინფორმაციას და სავაჭრო ქსელში საფრთხის შემცველი პროდუქცია არ დაუშვას. „გამორიცხული არ არის, რომ დაწუნებული პროდუქცია განვითარებად ქვეყნებში შემოდიოდეს, მათ შორის - საქართველოში“, - აღნიშნავს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროგრამის კოორდინატორი ვახტანგ კობალაძე „გზასთან“ ინტერვიუში - ერთი „უბრალო“ მიზეზის გამო: **საქართველოში რამდენიმე სახეობის პროდუქტის გარდა, სახელმწიფო კონტროლი არ ხორციელდება, მონაცემები არ არსებობს და ვერც არასამთავრობო სექტორი აქვეყნებს. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენთან დაცული არავინაა: არც ის, ვინც საჭირო ნივთებს ბაზრობაზე ყიდულობს, და არც ის, ვინც ძვირფას მაღაზიებს სტუმრობს. იმის დადგენა, თუ რამდენად სწორია ეტიკეტზე მითითებული ინფორმაცია, შეუძლებელია. ამიტომ, მომხმარებელმა არ იცის, რა შემადგენლობისაა სამოსი, ჩანთა ან სათამაშო, რომელსაც ის ყიდულობს.**ვინაიდან ქართულ ბაზარზე არაფერი მოწმდება, არ არის გამორიცხული, რომ მავნე ნივთიერებები ძვირადღირებულ ნივთებშიც იყოს. ამიტომ, მომხმარებელი არც ერთ შემთხვევაში არ არის დაცული. შესაძლოა, ბევრი რამ სპეციალურად იყოს წარმოებული საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის, სადაც წლების განმავლობაში არაფერი შეუმოწმებიათ, ასე რომ, სანამ სახელმწიფო კონტროლი ამოქმედდება, ჩვენი მოსახლეობა მუდმივად დაუცველი იქნება.“

ბავშვები ჩვენი ცხოვრების ყველაზე ლამაზი და მნიშვნელოვანი ნაწილია. იქამდე, სანამ ეს პრობლემა მოგვარდება, უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად ყურადღებით შევარჩიოთ სათამაშოები ჩვენი შვილებისთვის, გავუფრთხილდეთ და დავიცვათ მათი ჯანმრთელობა!

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

სამამულო ომის გმირებს

ვუძღვნი მამაჩემს – ილო ლამაზოშვილს

დღესაც ღიაა ჭრილობა გულში,
თავს გვახსენებს და ისევ ტკივილობს,
დროის ქროლვა და წელთა სიმრავლე
თქვენს დავიწყებას ამაოდ ცდილობს.
ბრძოლის ველზებზე დაღვრილი სისხლიც
დიდი ხანია, შეიშრა მიწამ,
ზედ დააფარა ევავილთა ფარდა
ავმოსაგონარს ფარავს და იცავს.
თქვენ შეიმოკლეთ სიცოცხლე გრძელი,
მაგრამ სიცოცხლის ფასი გაზარდეთ,
გმირებო, თქვენი გამარჯვებებით
უკვდავებაში შეინავარდეთ!
მაღლა ზეცაში გადაინაცვლეთ
და ჭაბუკებად დარჩით მარადის,
თქვენც ანგელოზთა ფრთები გასხიათ
და მათთან ერთად მიგეაგვთ „ჰარადი“.
დროის ქარებმა წაშალა ბევრი,
მაგრამ თქვენს სახელს ვერ მოერია,
კვლავ ჩვენთანა ხართ და გეფერებით,
თქვენს გმირობებზე დღესაც მღერიან.

ხოშატი ლამაზოშვილი
2019 წლის 9 მაისი.

მონატრება

თევდორე წიკლაური

14 მაისს 4 წლის თავს ცათა სასუფეველში შეხვდები, გენაცვალოს ბებო.

შენი დედიკო და მამიკო სულიერად შენთან ერთად გარდაიცვალნენ. ხორციელად არიან ჩვენს გვერდით. დაგვიტოვე დიდი მწუხარება და გაუნელებელი ტკივილი, რომელსაც ვერასოდეს ვერ მოვიშუშებთ. ჩვენ ისევ მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ წმინდა სანთლებს და ქედმოხრილი ვილოცებთ შენი გაუხარელი სულისთვის. სიზმრად მაინც მოგვევლინე, მოგეფერებით, ჩვენო საყვარელო და დიდო ტკივილო.

4 თვე გავიდა ჩვენი განშორებიდან. თვეები, რომლებმაც ტანჯვასა და წამებაში, ცრემლების ნაკადში და გაურკვევლობაში გვამყოფეს. ძალიან გვენატრები. შენი მოფერება გვინდა, მოფერება, რომელსაც შენ ვერ გრძნობდი, მაგრამ სად არის! შვილი არის დედის სიცოცხლის გაგრძელება, ღირსება და სინდისი. შენ კი ყველაფერი წამართვი.

ენატრები თათიას და მათეს.
„რაც დრო გადის,
დარდი უფრო მემატება,
შენი სახე და ღიმილი,
შვილო, ძლიერ გვენატრება.
უშენობა ტანჯვა არის
ტკივილია მწარე,
შენ იყავი სიხარული
ჩვენი მზე და მთვარე.

14 მაისს 4 წელი
შეგისრულდა, შვილო,
როგორ შეგძლოთ უშენობით
ამ ცხოვრების ატანა?
ენატრები შენს დაიკოს,
მამასა და დედას,
გვენატრები, თევდორე,
ვეღარ ვმალავთ სევდას.
რაც დრო გადის, უშენობით
გვემატება დარდები,
შენს საფლავზე იწვის ჩუმად
ცრემლიანი სანთლები.

ჩვენო პატარა ანგელოზო, ნანატრო შვილო და მოკლე ხნის სიხარულო, ნათელში გამყოფოს უფალმა, თევდორე. დიდო მონატრებავ, დიდო ტკივილო და სიყვარულო.

შენი ბებია ოჯახით.

დები იზოლდა, ლამარა, ძმა მერაბი მენთეშაშვილები იუწყებიან
ვენერა იოსების ასულ მენთეშაშვილის
გარდაცვალებას. დაიკრძალა შაბათს, 11 მაისს, სოფელ ქვემო ბოდბეში. გასვენება დედოფლისწყაროდან 13:00 სთ-ზე.

დეიდაშვილები ნათელა და ნიაზი ბოსტოღანაშვილები, გულნარი და თამილა ხუნაშვილები, ეთერი და გია დევიძეები სამძიმარს უცხადებენ იზოლდა, ლამარა და მერაბ მენთეშაშვილებს დის
ვენერას
გარდაცვალების გამო.

ნაირა, ციხელო, სპარტაკი, გულნარა, ანგელინა, მანანა, თამილა, ლეილა გორაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ლენა გურაშვილ-ფაციაშვილს მეუღლის, ზაირა, ნაირა და მაია ფაციაშვილების ოჯახებს მამის
ვასილ ფაციაშვილის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები სამძიმარს უცხადებენ საზოგადოების ხელმძღვანელს დიმიტრი დათუკიშვილს პაპის
ვასილ ფაციაშვილის
გარდაცვალების გამო.

ჯილდო დამსახურებისთვის

დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერის და ქართული გალობის სკოლა მალე დაარსებიდან ექვს წელს აითვლის მალე. ამ ხნის მანძილზე მოპოვებული წარმატებების დათვლა კი არ იქნება ადვილი. დიახ, რამოდენიმე ოქროს მედლის, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მფლობელმა ანსამბლმა გასულ წელს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზეც გრან-პრი არავის დაუთმო და მუნიციპალიტეტის კულტურის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაშალა. ყოველთვის არსებობენ სკეპტიკოსები, რომლებიც ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებენ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მათ არ მიეცათ საშუალება ნეგატიური პოზიციების გამოხატვის, რადგან ანსამბლმა ამ მცირე დროში ბევრად მეტი შეძლო და ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ანსამბლს დაარსებიდან დღემდე განსაკუთრებული მხარდაჭერა აქვს მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის და მერიის განათლების, კულტურის, ძაგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის თამარ თამაზაშვილის მხრიდან. პარასკევს, 10 მაისს, მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივით, ანსამბლის წევრებსა და მერს შორის თბილი და მეგობრული შეხვედრა გაიმართა.

-„მოგესალმებით, ბავშვებო, ძალიან გამახარეთ თქვენი სტუმრობით. ეს კაბინეტი ის ადგილია, სადაც, ძირითადად, პრობლემებს განვიხილავთ, თქვენი მოსვლით კი ცოტა ხნით მაინც დამავიწყებთ პრობლემებს და პოზიტივზე გადავერთვებით. თქვენი წარმატებები ჩვენი წარმატებებია, თქვენ ხართ ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი მომავალი, დღეს თქვენ მომიკაკუნეთ კარზე, ხვალ მე მოგიკაკუნებთ თქვენ და ამის გაფიქრებაც კი სიამაყით მავსებს. მეამაყება თქვენი ბოლო გამარჯვება, როდესაც ბათუმიდან ამ ქიზიყელმა ბავშვებმა მთავარი ჯილდო ჩამოგვიტანეთ საჩუქრად. ვთვლი, რომ ყველა პროექტი, ინფრასტრუქტურული იქნება თუ ნებისმიერი სხვა, რაც კი ხორციელდება მუნიციპალიტეტში, მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც მომავალი თაობის ხელშეწყობაა, ეს თქვენ გეხებათ თუ სპორტის, კულტურული და საგანმანათლებლო სფეროს მოსწავლეთა მხარდაჭერას შეეხება. დიახ, ჩვენ მზად ვართ, ადგილზე შევქმნათ ყველა პირობა, რომ მშვიდ, ჯანსაღ და ურთიერთპატივისცემით სავსე გარემოში შევქმნათ თქვენთვის მისაღები ატმოსფერო. დღეს შეიძლება თბილისში მეტი არჩევანია, მაგრამ იქ ხელმისაწვდომობა იყოს ნაკლები, ანდა შეიძლება არ იყოს ყველგან ასეთი თბილი და მეგობრული სიტუაციები. გაივლის წლები, გაიზრდებით, ნახავთ მსოფლიოს და დედაქალაქიც შეიძლება ერთ დიდ სოფლად მოგეჩვენოთ, ამიტომ, გული არ დაგწყდეთ არაფერზე, თქვენ ყველაფერი გაქვთ, რაც შეიძლება ბევრს არა აქვს. თქვენი სკოლის კურსდამთავრებულები, ვინც შემდგომ გიორგი მთაწმინდელის უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელებს სწავლას და დაამთავრებს, მათაც ხელს შევუწყობთ დამთავრების შემდეგ მუშაობის დაწყებაში ჩვენთან".

შეხვედრის დასასრულს მუნიციპალიტეტის მერმა ანსამბლის თითოეულ წევრს და მის ხელმძღვანელს გელა გველუკაშვილს მიღწეული წარმატებებისთვის მადლობის სიგელები გადასცა და ორდღიანი ექსკურსიით დააჯილდოვა, ხოლო დედებს წიგნები გადმოგვცა საჩუქრად. ბავშვებმა მადლობის ნიშნად ბატონ ნიკოლოზს ცედური „მრავალჟამიერი" და „მადლობელი ვარ" უმღერეს კაბინეტში. ორიგინალური და თბილი შეხვედრა მშობელმა ციცი ნადაშვილმა დააბოლოვა და თითოეული ბავშვისა და მშობლის სახელით მადლობა გადაუხადა მერს გულთბილი მასპინძლობისა და საჩუქრებისთვის.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

გზად დიდ ხელოვნებამდე...

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის სამუსიკო საზოგადოებას მისი გულშემატკივარი ყოველთვის განებივრებული ჰყავს მაღალ საშემოსრულებლო დონეზე ჩატარებული კონცერტებით. დღეს ერთ-ერთი ასეთი კონცერტის შესახებ ვუამბობთ ჩვენს მკითხველს. ღია შემაჯამებელი კონცერტი 8 მაისს სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. მასში მოსწავლეები კლასების მიხედვით მონაწილეობდნენ. კონცერტი სკოლის გუნდმა გახსნა სიმღერით"აქარგული, ჩაქარგული"(პედ. ნინო მანჯაფარაშვილი, კონცერტმეისტერი ნინო ნიკვაშვილი). თითქმის ორი საათის განმავლობაში მსმენელს არ მოგვკლებია ის სიამოვნება, რაც კლასიკური, საფორტეპიანო ნაწარმოებების მოსმენის შედეგად უნდა მიიღოს მაყურებელმა.

როიალთან ერთმანეთს ცვლიდნენ მოსწავლეები: ნინო ნატროშვილი, ანა ჩიტიშვილი, ანანო გიგაური, მარიამ გონაშვილი, გიორგი ბოდაველი, მარიამ ნატროშვილი, გიორგი ალუღიშვილი, ქეთი ყაჭაშვილი, თეკლა ცაკაშვილი, თეკლა წიკლაური, გურამ გოგაშვილი, ირაკლი საბიაშვილი, ქეთათო ხიხაძე, მარიამ ჯანაშვილი (ზ/მაჩხაანი), მარიამ ყოჩიაშვილი, ანანო ბიძინაშვილი, მარიამ ჭანყოშვილი, ანა სესიტაშვილი, ანა თარალაშვილი, მარი ელოიანი, ნიკოლოზ გველუკაშვილი, თეკლა ჯინაშვილი, ლიზი ცქიტიშვილი, ნიკა სეფიაშვილი, ლიზი ბუთხუზი, ლიზი ზურაშვილი, მარიამ ღორაკუდაშვილი, ნიკოლოზ პაპაშვილი და რეზო ქადაგიშვილი. საოცარი შესრულება ჰქონდა თითოეულ მოსწავლეს, რომლებსაც, უკვე სცენიდან ჩამოსულებს დარბაზში ემოციებითა და განცდებით სავსე პედაგოგები ელოდნენ. გარეშე თვალს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, როგორ ღელავდნენ მასწავლებლები, რომ ბავშვებს თავი წარმატებით წარმოეჩინათ მსმენელის წინაშე, არც ის დაგვრჩენია შეუმჩნეველი, სცენიდან ჩამოსულ ბავშვებს როგორ ეგებებოდნენ და გულში იხუტებდნენ ან კალთაში ისვამდნენ ბავშვებს. ყოველთვის მგონია, რომ ხელოვნებას, კლასიკურ მუსიკას განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ ბავშვების გულში და პედაგოგებთანაც განსხვავებული ემოციური ბმა აქვთ. ანდა, როგორ არ უნდა დაუფასო პედაგოგებს ის ენთუზიაზმი, რომლის მიხედვითაც ისინი ამდენ შრომას სდებენ საკუთარ მოსწავლეებში, თუმცა, ეს ხომ ის ადგილია, სადაც მაღალი მატერიები ყოველდღიურ ყოფით პრობლემებზე მაღლა დგას. ასე იყო ყოველთვის ...სამაგიეროდ მათ აღზარდეს უამრავი თაობა, ისინი ყოველთვის ყველას უყვარს, მოსწავლეებსაც, მშობლებსაც და სრულიად საზოგადოებასაც. ამ დღესაც ჩვეულ ფორმაში გახლდნენ პედაგოგები:ნინო მანჯაფარაშვილი, ნინო ნიკვაშვილი, ლია ხაჩიაშვილი, მარიამ კიკილაშვილი, ნინო ალადაშვილი, დალი ხუციშვილი, დარეჯან შანშაშვილი, ნინო ლაპიაშვილი, თამილა ნადირაშვილი, ოლღა მუჩიაშვილი, თამარ კიკილაშვილი(ვიოლინო), მადლენა ყოჩიაშვილი და სკოლის დირექტორი დალი ელისაშვილი.

კონცერტის დასასრულს მერიის განათლების, კულტურის, და ახალგაზრდულ საქმეთა ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა მადლობა გადაუხადა სკოლის პედკოლექტივს, მოსწავლეებს და განსაკუთრებული მადლობა მშობლებს, მით უფრო მამებს, რომლებმაც გამონახეს დრო და დაესწრნენ საღამოს, ***„რაც ნიშნავს დედის და მამის როლის გათანაბრებას ბავშვის აღზრდაში, რაც ძალიან ბუნებრივი პროცესია და ასეც უნდა იყოს, აგრეთვე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სამუსიკო სკოლა, ისევე როგორც ფოლკლორის სკოლა, აკადემიურ ცოდნას აძლევს ბავშვს და სხვაგან ასეთი ცოდნის მიღების ალტერნატივა არ არსებობს, კლასიკურ მუსიკას ბევრად უფრო კომპლექსური მუსიკალური სტრუქტურა აქვს, მუსიკას შეუძლია ბავშვის აზროვნებაზე მოახდინოს პოზიტიური გავლენა, საბოლოოდ კი მუსიკის სწავლა ბავშვის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს."***-განაცხადა ქალბატონმა თამარმა და თითოეულ მონაწილე ბავშვს, შემდეგ კი პერსონალურად მონაწილე ვაჟებს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობისა და კლასიკური მუსიკის დამოკიდებულებისადმი.

სკოლის დირექტორმა დალი ელისაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გვამცნო, რომ ეს იყო საგაზაფხულო შემაჯამებელი კონცერტი და ივნისის დასაწყისში წინ გველოდება აკადემიური კონცერტი კიდევ უფრო ახალი და მდიდარი რეპერტუარით.

ელზა ხარაშვილი

ულოცავენ!

ნიკოლოზ სუარიშვილს!

რვა წლის წინ, 8 მაისს, თბილისის წმინდა იოაკიმის სახელობის საპატრიარქოს სამშობიარო სახლში შენ დაიბადე, ჩვენო საყვარელი ნიკოლოზ. გაიხარეს შენმა მშობლებმა **ნონა მამუკელაშვილმა** და **ელგუჯა სუარიშვილმა**, შენმა ძმებმა - **გიორგიმ** და **სიმონმა**. შენს მერე დაიბადა შენი პატარა **დაიკო თამარი**. ბედნიერი ხარ შენს ოჯახთან ერთად, რადგან შენი ოქროს დაბადების დღე ყველამ ერთად იზეიმეთ. ამ სიხარულს ჩვენც ვუერთდებით და გილოცავთ ამ მნიშვნელოვან დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს,იყავ წარმატებული, სულ მუდამ გიყვარდეს წიგნი და სწავლა,როგორც ახლა. გაიხარე !

სიყვარულით, ნანა ჭიჭინაძე, მარიკა პოპიაშვილი, გოჩა, არსენ, დათო ყოჩიაშვილები.

ვაჟა მამაიაშვილს!

ღვინის ტექნოლოგიის დოქტორს, მსოფლიოს საერთაშორისო მეღვინეობის საზოგადოების სრულუფლებიან წევრს, მეღვინე - ექსპერტს, ჩვენს საამაყო მეგობარს და კოლეგას, პატივისცემით და სიყვარულით მოგილოცავთ დაბადების 80 წლისთავს. დიდი ნიკო მამაიაშვილის ვაჟმა მთელი ცხოვრება ღირსეულად განვლე როგორც ადამიანმა და როგორც პროფესიონალმა. კვლავაც მხნეობას, სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებთ. იყავ ბედნიერი შენს ოჯახთან ერთად.

თანაკლასელების, უახლოესი მეგობრების და კოლეგების სახელით: ლერი და მარლენ კვაჭანტირაძეები, ვახუშტი ქიზიყურაშვილი, თამაზ კოგაიძე, სოსო თევზაძე, ილო თუშიშვილი,გოდერძი გონაშვილი,ლამარა და ნანა ჭიჭინაძეები.

დედოფლისწყაროს ს.ს. „ტრანსპორტელის" თანამშრომლები გულწრფელად ვულოცავთ ნუგზარ ალუღიშვილს და ნათია ლოგჯანიძეს შვილიშვილის ანასტასიას დაბადებას. მის მშობლებს - **თამუნა ალუღიშვილს და გიორგი ლეკიაშვილს** აკვანთა სიმრავლეს ვუსურვებთ.

მადლიერება

გასულ კვირას, როდესაც მეუღლე და ბავშვები მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმში გავაცილე ღონისძიებაზე მონაწილეობისთვის, სახლში ასაკოვან დედამთილთან მარტო დარჩენილს, მოულოდნელად პრობლემა შეგვექმნა და აუცილებელი გახდა სამაშველო სამსახურის გამოძახება, სანამ 112- ში დავრეკავდი, ადგილობრივი ნომერი ავკრიფე და ჩვენს პრობლემაზე ვაუწყე მორიგე მაშველს. დარეკვიდან 5 წუთში სამაშველო ჯგუფი ადგილზე გაჩნდა და ზუსტად 3 წუთში მოაგვარეს ჩვენი პრობლემა. ასეთ ოპერატიულობას არ ველოდი, რადგან არასოდეს დამჭირვებია ამ სამსახურის გამოძახება. პასუხისმგებლიანი ადამიანები, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან თანამოქალაქეებს. კონკრეტულად მინდა მადლობა ვუთხრა-ათმეთაური გელა ხუციშვილს, მაშველებს-ლევან ალბუთაშვილს და ზურაბ ალადაშვილს, მათ უფროსს ზურაბ ლაპიაშვილს, რომელიც ჯგუფს ურეკავდა და კითხულობდა -რა პრობლემა იყო და დახმარება ან დამატებითი ძალა ხომ არ იყო საჭირო.

მადლობა სახანძრო-სამაშველო სამსახურს დახმარებისა და თანადგომისთვის.

ელზა ხარაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 13.05		სამშაბათი 14.05		ოთხშაბათი 15.05		ხუთშაბათი 16.05		პარასკევი 17.05		შაბათი 18.05		კვირა 19.05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
14 °	13 °	18 °	16 °	17 °	15 °	18 °	16 °	20 °	17 °	20 °	18 °	21 °	18 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.